



ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԵՎԱՀԱՅՈՒԹ-
ԵՄ ԽՈՔՈՎՈՒԹՅԱՏՅԱՑՈՒՑ

293

5540/



-1919-

0163160 № 1

ნაგაზაფლი

საემანიკულო
ეკურნაბლით
იმპერიალისტური
საბჭოთა კომიტეტი

რიცხვი 140 ვერსია. + 0163160, 1912 წ.



წმ. ნინო ქართველი განმანათლებელი.

b s m b j z o.



I	— წ. ნინო, ქართველთ განმანათლებელი — სურ.	1
II	— მილოცვა, — დეკტივი აკადამია	3
III	— არ გვიყადრა, — ნინო სკაშიძისა	5
IV	— დუმილი, — დეკტივი ჭ. აბაშიშვილისა	16
V	— მხიარული შობა, მოგონება გიმნაზიელისა, — (მო- თხორისა) ად. ზარინისა (თარგ.) შ. კლაბიაშვილისა	18
VI	— უვნებელი მარგილი, — (დგავა) ად. შირიანაშვილისა	28
VII	— ნიკოლოზ ბესათიონის-ძე ლოლობერიძე	29
VIII	— მამია, გურიელი და მისი პოეზია, — ად. ხახანაშვი- ლისა	30
IX	— ასტრონომია, — ივ. გომისრთულისა	35
X	— სალებავების მაწარმოებელი ცხოველები, — ივ. თ — ძასა	49
XI	— 1912 წლის მოკლე მიმოხილვა, ივ. კარბელაშვილისა	55
XII	— ნარევი შ. კ — ძას	61
XIII	— გისართობი: შარიალა, გეოგრაფიული გამოცანა, მეცნიერებები	63
XIV	— „ნაკადულის“ შინაარსი 1911 წ.	65

ରୁପୀଲଙ୍ଘନ, ହାତ୍କୁଳ-ମଦ୍ଧିମ. ୬. ଲାଲକାନ୍ଦୁଳୀଙ୍କ ମନ୍ଦିର. ଜ୍ଞାନପ୍ରକାଶ. ପାତ୍ର. № 5.

ମୋର ପତ୍ର ।

ମାଟ୍ଟିଗିଲ୍ଲେଖି, ମନ୍ଦିଗିଲ୍ଲୁପାତା
ଚିରଜୀଳିର ଗୁଣିତ ବ୍ୟାକ ହେଲି,
ବିଶୁର୍ବ୍ୟାପତ, ଏହି ବ୍ୟାକ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ
ଯୁଗେଲି କେବଳ ଦା ଗାନ୍ଧି ପ୍ରଫ୍ୟାଲିନ୍ଦ୍ରିଯମ୍

ଏହି ରୂପିଷ୍ଠ୍ୟାବଳେତ ମନ୍ଦିଖିଲି
ନାତକ୍ଷାମି ଦା ଗାନ୍ଧିକାନ୍ଦିଶି!
କେବଳିବ ଶକ୍ତିବିଦୀ ଲାଭ
ତାହା କାହାର ମନ୍ଦିଗନ୍ଧିମାତ୍ର!

ଏହି କେବଳିବ ମନ୍ଦିଗନ୍ଧିର
ମନ୍ଦିଗନ୍ଧିର ଗ୍ରହ ଦା ବିଦ୍ୟା
ମନ୍ଦିଗନ୍ଧିର ମନ୍ଦିଗନ୍ଧିର
ଏହି କୁଳାଦ ଗାନ୍ଧିଗନ୍ଧିର!

ଦା ଗାନ୍ଧିଗନ୍ଧିନ୍ଦି-ଜି ଉଚ୍ଚିଲ୍ଲିର
କୃତିକାଳ ଦ୍ୱାରା-ଦ୍ୱାରା,
ମାନ୍ଦିଗନ୍ଧିର ମନ୍ଦିଗନ୍ଧିର
କାହାର ନେ ଅଧିକାନ୍ଦି ହେବାର.



ଫଳେ ତୁମିପା ଫେରି ପ୍ରତ୍ୟାମଣିକାରୀ
ଫ୍ରେଣ୍ଟି ସିନ୍ଧିମିନଙ୍କେ ମିଳିବାରେ;
ମାତ୍ରା-କାତିକିଶ୍ଵାର ନାଶେନି
ତୁମାରି ମିଳିବାର ନିଗର୍ବ୍ୟାର;

ମାଗରୀଥ ମନ୍ଦରୀ, ତୁମ ନିଜି,
ମନ୍ଦରୀ ନୁହେନି ମୁଖମଳାଦର, —
ଲିମିଲିତ ଏଥିମନ୍ଦରୀ: ନୁ ଶୁଣିବାତ...
ନୁ ଶନ୍ତିବାତ ତୁମିକାଲା ପ୍ରତ୍ୟାମଣାଦର!..

ବାନ-ଦା-ବାନ କ୍ଷେତ୍ରାଲିକ,
ନାପାରିପ ପାପିଯ୍ୟମୁଲି,
ମାଗରୀଥ ତୁ ମ ପରି-ନାପାରିବ
ଗମନ୍ତିଶ୍ଵରିକ୍ଷେ ମିଥ ଗୁଲି,

ଏ ନାଥେ ଅନ୍ତରୀଳ ନାଯ୍ୟରପଥାଳ,
ଫ୍ରେଣ୍ଟି ଥେରିବାଲ୍ଲେବିତା,
ଦା ମ ଆନନ୍ଦବେ କେଲ-ବେଲା
ପିତ୍ର-କ୍ଷେତ୍ରାଲେ ଦେଖିବିନ୍ଦୁଲ୍ଲେବିତା!

ଏହାଲ୍ଲୋକିନ୍ଦରେ! ନୁ ମନ୍ଦିର୍ଯ୍ୟତ
ଶୁଦ୍ଧିବାଲି ଗୁଲିକ ମଧ୍ୟରାବେ,
ଗନ୍ଧାର ଶ୍ରୀମାତାରତ୍ନ ନୁ ଶୁଦ୍ଧିଯ୍ୟତ
ମନ୍ଦିରୀର ଦେଇଲି ହେବାରୀ!

ଫ୍ରେଣ୍ଟି ଦରାଳ ମିଥାରିତ୍ୟତ ଗାନ୍ଧିଯ୍ୟିତ:—
ଏହାପ ମନ୍ଦିରୀର ନାଯ୍ୟରପଥାଳ;
ଆନନ୍ଦବେ ମନ୍ଦିରୀ କ୍ଷେତ୍ରାଲେ
ଦା ଗାନ୍ଧିବାଲି ମନ୍ଦିରୀରାଳ!

ଅପାକି.





არ გვიყადჩა...



თელმა სოფელში იცოდა, რომ
მოხუც გაბრიელ ბუკაშვილს
ნაწარები შეიღი ჰყავდა. მეზო-
ბლები დიდის პატივისცემით შე-

ჰყურებდნენ გაბრიელს და მის ცოლს აღათისაც, რომლებ-
მაც სამაგალითოდ გამოზარდეს თავიანთი ერთად-ერთი ვაჯი.
გაბრიელ სამოცდა ათი წლის, თეოტ გრძელ-წვერა, მაღალი,
დინჯი კაცი იყო; აღათი კი—პატარა, გამხდარი, ფუსტუსა და
მუდამ მომღიმარი ბებერი დედაკაცი. ორსავე მოხუცს თავი
მოსწონდა სოფელში, რომ მხოლოდ იმათ, მართალია—წვითა
და დაგვით, მაგრამ მანც გამოზარდეს შეიღი, რომელიც ახ-
ლა ტფილისში დიდად ცნობილი მდიდარი ვექილი და განა-
თლებული კაცია. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ივ-
ლიანეს მჯობი კაცი, არა თუ ტფილისში, მთელ ქვეყანაზედაც
არ მოიპოვებოდა; განა სამაგალითო კაცი რომ არ ყოფილიყო,
მართალია, შეიღი იყო, მაგრამ ასე ეყვარებოდათ მთელ სო-
ფელში პატიოსნებით განთქმულ გაბრიელს და კეთილ აღათის?
იმის „დიდ-კაცურ“ ცხოვრებას ამტკიცებდა ისიც, რომ ბევრს
სოფელში ჩამოსულს ამბავი ჩამოჭრნდა; ბევრს ახალგაზდა
სოფლელს, ქალაქში მოსამსახურედ წასულს, ენახა იყლიანე:
ზოგს ეტლში, ზოგს ისე შორიდან ბულვარზე დაენახა, როცა
ის თავის ლამაზ ცოლთან ერთად დასეირნობდა; მაგრამ და-
ლაპარაკებით-კი ვერ დალაპარაკებიან, რადგანაც *განა დიდ-

კაცთან დალიაპარაკება ასე აღვილო არის“.-ო, —დასტერწერების შემთხვევაში ნი. გაბრიელ ამ დროს სიამოვნებით ილიმებოლა ულვა-შევრი და კმაყოფილი იმბობდა: „ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას კაცი კაცი იყოს; ამა დიდი კაცი რომ არ იყოს და რომ არაფერი ჰქონდეს, თუმცანის როგორ გამოიგზავნის თვეში?“ და ცოტა სიჩრდის შემდეგ დაუშატებდა: „მამაშვილობას, რომ წახეიდე, უსიკვდილოდ ნახე, ჩემი ხათრი თუ გაქ, ნახე, დაელაპარაკე, ჩვენი ამბავი უთხარი, —პატივს გცემს, ძმასავით მიგიღებს... მამაშენი და იგი ერთად გაზიდოს არიან“.

დიალ, ყველომ იკოდა, რომ იყლიან ბუკაშვილი ქალაქ-ში მდიდრულად ცხოვრობდა და ყველას უკირდა, რომ სი-ცელში დედ-მამის სანთავად იგერ თორმეტ წელიწადზე მეტი იყო არ ჩამოსულა, და მერე კიდევ რა დედ-მამის,— რომლებ-მაც იმის გამოსახრდელიად გაყიდეს მოელი საცხოვრებელი, — სახლი, კარი, მიწა-წყალი, და იხლა სამოცდა ათი წლის მა-ხუცი, თავის ბებერი ცოლით, მოწნულ ფაცხაში სცხოვრობს იმ თუმნის ანაბარად თვეში, რომელსაც ის იქიდან უზარნის.

დრალ, სოფულელებს უკვირდათ, გამრიელს და ოღაოთის
კი შძიმე ლოდივით აწვათ გულზე ის გარემოება, რომ იმდენი
ხანი თავიანთი მხე და მოვარე, თავიანთი ნუგეში ერთად
ერთი შეილი ივლიანე არ უნიხევთ. მოყლ ამ დროს ვინმავ-
ლობაში ერთად-ერთი საფიქრელი, ერთად-ერთი სანატრელი,
დღულამე, ზამთარ-ზაფხულ, ძილში და ლვიდილში — მათი
შეილი იყო. დღესასწაულების მოახლოების დროს ხომ ეს
ნატრა და დარღი უასკეცდებოდათ და იშედი და სისოწარ-
კვეთილება ებრძოდნენ ერთპანეთს მოხუცების გულში. ყოველ
სააღდგომოდ და საშობაო-საახალწლოდ ელოდნენ შეილს,
ნატრობდნენ იმის მოსვლას და დელივდნენ. ახლაც გამრიელ
და ოღათი ისხდნენ თავიანთ დაწნულ ფაცხის გვერდით მზის
ყურეზე და გაჭყურებდნენ ძირს ფერდობზე გაშლილ, სოფლი-
საკენ ამომავალ გზის. სოფლის შარა გზაზე არა-წევულებრივი
მოძრაობა იყო: ხალხი მიდი-მოდიოდა სანოვავით დაწერილო-



ლი და მხიარული; — კიდევ ორი დღე და ახალ-წელი არ შემოიტანა დებოდა: ყველის ექიარებოდა დროთი მოეთავებინა ნარჩა-დისი და პირნათლად შეცვედროდა დღესასწაულს.

შე ცხოვლად ანათებდა, ათბობდა არემარქს და აბ-რკუვინებდა თოვლით დაბურულ შორეულ მთა-გრეხილს და ახლო-მახლო აქა-იქ ბამბის ჭულასავით ხმელ გვიმბრაზე და გატიტვლებულ მიწაზე გაფანტულ თოვლის ნაგლეჯებს. მიღამო შორს მოსახნდა. დაბლობში მიიკლავნებოდა მდინარე. გაბრიელ და აღათი გაფაციცებით იდევნებდნენ თვალს სანა-კოს, ნევის წინ და უკან სრიალს და დროთი დრო ხვენ-შოდ-დნენ. გაბრიელ ჩიბუხს იძოლებდა. ბოლოს ჩიბუხი გამოსტე-რტყა, დაიდვა გვერდია და შეხედა აღათის; შუბლი ოდნავ შეეჭმუხვნა, სახეზე სიბრალულმა გადაუჩინა. აღათი იჯდა დაფიქრებული, მოკუნტული და კიდევ უფრო პატარა სჩინდა.

— რა იყო, აღათი, მაინც ელი იყორიანეს? რომ შეიწერა, ვერ ჩამოვალო.

აღათიმ ამოიოხრა, ბაგეები ოდნავ დაებრიცა და თვა-ლებზე კრემლები მოადგა.

— კი მეიწერა, — სოქეა შან, — მარა ჩვენი წიგნი რომ მიუვიდოდა, რავა მეითმენდა იმის ვა გული, არ შეესმინა ჩვენი ხვეწნა: უსიკვდილოდ ჩამოდი, თუ მამაშენის პატივის-ცემა და ჩემი სიყვარული გაქ მეოქი, მიკსწერე, — შენ უნახავს ნუ ჩაგვიშვებ საფლავში; შეთქი, და რავა არ შეგვიბრალებს?

— თუ ასე მისწერე... — სოქეა გაბრიელმა, ისევ ჩიბუხი აიღო და გაჩუმდა. გაჩუმდა აღათიც: ორივეს თავავიშუდათ, რომ შარშან ამ დროსაც, შარშან-წინაც, იმის წინაც და კი-დევ იმის წინადაც, საალდგომოთაც, საშობაოდაც და საახლ-წლოდაც ჭრიალები მისწერეს. ისხდნენ ჩუ-მად მიკუნქულნი და სდუმდნენ.

ზევით ორლობებში ჟალით შეფუთვნილი მოხუცი დედა-კაცი და თთი-თერთმეტი წლის პატარა ბიქი გამოჩნდნენ. ბიჭის ხურჯინი ჰქონდა მარჩე გადაკიდული და დედაკაცსაც რაღაც



მოურული ბოხჩები ეჭირა ხელში. დაუპირდაპირდა გაბრიელს და ოლათის დედავაცი, შეჩერდა და მინარეულიდ საოაში მისუა.

— ლერომა შშეიღობა მოყუს; საით მიემგზავრები, როგორ? — ჰერთა გაბრიელმა.

— ქალიშვილთან, აბა ერისთან წავიდ. მომწერა, ჩიმოდი, ა კაი დღე ერთად გაეტაროთო. და შეც ა ერთი კავალია ბალიში *) შეავს, მეტი არაფერი გამაჩინია, — მიმავს და შევიღ ჩემი საგძლიოთ. ლარიბად ცხოვრობენ საცოდავები: დღითა და ღამით იმათთი შესვენება არ არის, ისე მუშაობს თარივე ცოლებმარი, თვარი კაი გულის-კი არიან; — ფულიც გამომიგზავნეს საგზაოდ... მარა მე რომ ჩემი ამბავი გვაბირ, თქვენ... თქვენ რას აპირობთ, ხომ არ ელით იყლიანეს?

ალათი თითქოს ახლა გამოეტკიცა, ოდნავ შეკრითა და შეხედა გაბრიელს. გაბრიელი როგორიცაც უხერხულად იღიმებოდა.

-- ဒေါက်တာ၊ ဒေါက်တာ၊ ရုပ်စွမ်း၊ အော် အဲ ဒေါက်တာ၊ — မိုးဖြူ
အောက်မှ စုနှစ်ရှာ လောက် ပုဂ္ဂိုလ်လျော်စွာ ပြုမြင်လွှာ မြောက်မြင်လွှာ。

— ეჭ, მართლა! კი გაგავონოს ღმერთმა, კი ამბავი
მითხარი. მარა ეგება მე ველარუ-კი ჩამოუსწრა. უანგარიშოდ
აკოცე, აღთი, ჩემ მაგიორიად, თუ ხაორი გაქ. უთხარი: დედა-
შვილობის გამჩენმა ღმერთმა ტკბილად შეგარეოს ჩემი ნაკო-
ვი ძუძუ თქვა და შენი შვილი-შვილები მაჩვენოს თქვა ისე
გამეხარდება იმის ჩამოსვლა, ვითამც ჩემი საკუთარი შვილი ჩა-
მოსულიყოს... მშვიდობით,—ღმერთმა მხიარული კალანდა **)
გაგითნოს .. მექარება საღვარზე, არ დაშიგვიანდეს...

— მშენებლობით, ლმერთმა მშენებლის შეზაფრობა მოგცე.

— კუსარიას დეკორი ჩვენ მიგიტო.

— მაცლობელი ვარ...

“) ଶ୍ରୀଲଙ୍କା-ଶ୍ରୀଲଙ୍କା,

Digitized by srujanika@gmail.com



მოხუცი დედაკაცი გაეშურა თავის გზაზე.

ჩვენი მოხუცები-კი ისევ ისე ისხდნენ.

— შეუდგეთ ჩვენც სამზადისს: გოჭი დავკლათ, ქაომე-ბიც...

— შეუდგეთ, როგორლაც სასოწიარკვეთილებით გააწყვეტინა ქმარს სიტყვა აღათიშ, — აგუნაიც *) გადავიძიახოთ არა? ქაომებსაც გაუშვებ, გოჭსაც. არაფერი აღარ მინდა, თუ ერთად ერთ ნაკვრავ-ნაწყვტავი შეილის ნიხვა არ მეღირსება...

— შენ ისე ამბობ, ვითომ მე ვიყო დამნაშავე, აღათი, — უთხრა გაბრიელმა ნელის ხშით, გულმრიცივნეულიდ და თავი ჩილუნა. აღათის შერტვა თავის საყვედურისა და დახარა თავი, მაგრამ ერთბაშად წამოდგა და ქარის ნაბიჯით, მკვირცხლიდ შევიდა ფაცხაში. გაბრიელმა ჩიბუხის ბოლებით გააყოლა თვალი და შემდევ ისევ გაპხედა სანხვოს. ცოტა ხნის შემდევ აღათი ისევ სწრაფის ნაბიჯით გამოვიდა გარედ; თვალები უბრწყინედა და ანაოცებული სახე როგორლაც უცნაურად ული-მოდა.

— ბერთ კაცო, იკი... გამიგონე... იმისთანა რამე უნდა ვითხრა... — დაიწყო მან ალელვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — კი არ გაგიკეირდეს...

გაბრიელ შესტკეროდა დაკვირვებით და ის იცოდა რა ეფიქრა.

— იკი? მოდი ჩვენც წევიდეთ შეილთან... აღარ შემიძლია უნახობა...

— რაიო? — გააწყვეტინა გაბრიელმა, — თბილის ქალაქს წევიდეთო... რას ამბობ?

— კი, კი, — ჩემი სიცოდევე თუ გაქ, და... შენც ხომ იტანჯები, შენ საცოდვავო... ვერ გატყობ თუ? თუ იგი ვერ ჩამოვა, ჩვენ მაინც წევიდეთ? ბალანიც გაეიხაროთ და ჩვენც გავიხაროთ. ის კი დღე ერთად გაეატაროთ... კი, კი, — მე აწლავე სამზადისს შევუდგები.

*) საახალწლო სიმღერა გურიაში.



— რას ამბობ, დედაბერო, სათბილისთ ფარა *), მარტინი მანათი სიძეს რომ შივე-
ცით, დაგავიწყდა?..

— არა, არა, ფარა კი გვაქ... ზანდუქში რომ გვაქ შე-
ნახული, იქიდან ამოვილოთ,—ცოტა არ იყოს გაუბედავად,
მაგრამ სწრაფად წარმოსოდეს აღათიშ და შეშინებული შეა-
ცემდა გაბრიელს.

გაბრიელ ერთ წეუთს ჩუმად იყო, შემდევ ერთბაშად წა-
მოდგა, ისე რომ ჩიბუხიც კი დაგვიწყდა და ძირს დავარდა, და
უფრო განცემული, ვიდრე გაჯავრებული შესკეროდა
თვის მოხუც კოლს.

— რას ამბობ, დედაბერო, გაგიკდი? სამარხი ფული და-
ვხარჯოთ!?. ამა არ გრცხვენია, რა სოქე მაგი, ა?.. არ მო-
ველოდი ამ სიძერის დღეს ამას შენგან...

აღათი ერთბაშად აენთო:

— შენ ასე ხარ: არ მოელოდი, ნეტაი რას მოელოდი?
პურ-ხავი ხარ: გეზოგება შეილის სანახავად ფულის დახარჯა;
არც ბალანი გეცოდვება, არც მე!.. — აღათიშ შეხედა ქმარს და
შეკრთა, იგრძნო თვის საყვედურის უსამართლობა; შერცხა:
მიხვდა, რომ რაღაც საშინელი სისულელე სოქე,—მოიკუნ-
ტა, კრემლები წამოსქდა თვალთაგან და პატარა ბავშვივით
შეარედ აქვითინდა.

— ამა რა ვქნა: თორმეტი წელიწადია ასე ვიწვი და ვი-
ტანჯვი... არ მინდა სამარხი; ჩემი სამარხი დავხარჯოთ, შენი
იყოს,—ხელს ნუ ვახლებთ. ვინმე სამაღლოდ დამშარხევს, თუ
ივლიანე არ დამშარხავს; მიწას ზეიდან ხომ არ დამტოვებენ...
ბალანიც გაიხარებს: ვინ იკის რავა ვენატრებით და იტანჯე-
ბა უნახაობით.

გაბრიელ საყვედურით, მდუმარედ შესკეროდა კოლს და
ჩხას არ ილებდა. აღათისთვის ცხადი შეიქნა, რომ მისი გან-

*) ფული.



ზრახვა დასაგმობა, რომ სამარხის ფულის დახარჯები მღებელი იყო, გაბრიელ ამაზე თავის დღეში არ დასთან-ხმდებოდა, და ნელის ნაბიჯით, შერტვენილი ისევ წავიდა ქო-ნისაკენ.

გაბრიელ კი ისევ დაჯდა და ისევ დაიწყო თამბაქოს წე-ვა: მოსწევდა ჩიბუხს, დაბერტყდა, გამოიძრობდა წელიდან გრძელ, წითელ ქისის, ამოილებდა თამბაქოს, დასრესდა ხე-ლის გულზე, გავესებდა ჩიბუხს და ისევ გააბოლებდა. ამნაი-რად იჯდა დიდხანს და აღლვებდა თანდათან უფრო დამშვი-დებულ გამომეტუცელებად ეცვლებოდა.

„სამარხის ფული დავხარჯოთ... ოცი წელიწადია იმას ვი-ნახვ, და ახლა დავხარჯო? პურ-ხევი... მეზოგება... — ბუტ-ბუტებდა ის დროთი-დრო, ოდნავ გასაგონად. სახეზე სევდა ეხატებოდა; მიმჭრალი თვალები თითქოს ოდნავ უბუტავდნენ; თეთრი წვერი როგორდაც უცნაურად ეჭირა ცალ ხელში. შემდეგ სრულიად მიყუჩდა და დიდხანს იჯდა გაქვავებულივით. ბოლოს იმისში სახემ გარევეული შესახედობა მიიღო; ადგა, იხალუხი გობერტყა და ფატხაში შევიდა. კერასთან ცეცხლის პირას იჯდა აღათი. მოხუცი ქალი პატარა თავით ხელებს დაყრდნობოდა და ნელა ტიროდა, — უბილო ბაგები უთროთა-და, ქმრის შემოსვლაზე არ განძრეულა. გაბრიელ მივიდა, დაადვა თავშე დროსა და შრომისაგან დაკორძებული ხელი და ნელის ხმით, თანაგრძობით უთხრა:

— დედაბერო, აღათი, შენ მართალი ხარ, საცოდავო... დავიტანჯეთ... წვეიდეთ, ვნახოთ ჩვენი ერთი კავალი ბალა-ნაი: ივიც გავახაროთ და ჩვენც გავიხაროთ. ღმერთმა ხომ უკის, რომ სიკეთე მინდობდა. შენი და ჩემი სამარხის ფული ჩემი ოფლით ნაშოენია: მინდოდა ორივე ამ ჩემი ოფლით და-მარხულიყავით... იმიტომ უფრთხილდებოდი. ახლა ხომ აღარ შემიძლია შოვნა... მარა სულერთია, — შვილი დავვმარხავს...

— ეჭ, მართალს ამბობ? — შეცყვირა აღათიმ და თვალის უმალესად, თითქოს თხუთმეტი წლის ქალიაო, ზესე წამოხ-



ტა, — მართალს ამბობდი?.. ცოცხლითი ცხონდები ჩემი გადასახვა
ლით. — მეტის ბეღნიერებით სხვ გაუცოცხლდა, ოვალები გა-
უბრწყინდა, სწრაფად მოვხვდა შობუკ ქმრის და მხარზე აკუა.
ვაბრიველ ილიმებოდა.

— აბა შეუდევქი ახლო სამზადისს. მე მაქ ჩავალ ერთს ლა-
ზარესთან: შევიტყობ როდის გადის მატარებელი, და ხვალევ
გაუდევთ გზას. ისე უნდა წევიდეთ, რომ დილაზე ვიყოთ ქა-
ლაძები.

— ახლავე, ახლავე ხაჭაპურებს დაფაცხობ; ჯანჯუხებს*) ჩამოვილებ სხვენიდან, ტყბილის კვერსაც. ქათმებს უნდა გა-
მოყეანა ძარიდან... — ფუსტუსებრდა ოლათი.

H.

შეორებული დღეს, თუმცა მატარებელი ღამე გადიოდა საღ-
ვურიდან, მხე ჯერ კიდევ მაღლა იყო, როცა გაბრიელ და
ალათი გამოვიდნენ თავიანთ ქახიდან და დაკეტეს კარი. გა-
საღები მეზობელ მოხუცებულ ქალს შიაბარეს, რომელიც ლო-
ცვა-კურთხევით, ალერგიით ისტუმრებდა:

— ღმერთმა მშეიღობის მგზავრობა მოგცეს... ჩემი გაგზანილი ჯანჯუტების მიუღმა ორ დაგავიწყდეს ივლიანება, იღოთ. ჩემ მავირად მიეცი ხელში და აკცე; უთხარი, ერთი რატომ არ ჩამოდი თქვა.

— კი, კი,— აბა არ ვეტყვი. დროი არა აქვს: დიდი საქმე-
ები აბარია, თვალი არ ჩამოვიდოდა?.. — ამბობდა ალათი და
იკაციშებდა კაბას თავშალს ქვეშ. გაბრიელს მხარზე დიდი, სა-
ნოვავით გატენილი, კრელი ხურჯინი ჰქონდა: გადაკიდული,
ტანზე ნაცრის ფერი ჩოხა და ფეხებზე — წულა-შესტები ეცა; თავ-
ზე ყაბალახი ეხურა, თეთრი დიდი წვერი შიროსავით გაშლო-
და გულზე და ცოტათი წახრილი მიღიოდა. ალათისაც ბოხა
ეჭირა ხელში და მხარზე თავის „პოლსაპოლუები“ გადაეკიდა;

^{**)} ნურჩისელებს ეძახიან გლორიაში.



ფეხზე კი ოჩაფეხები *) ეცვა; შეჩერეულიც იყო და მატელარიზმის
სასიარულოდ შეხერხება, ამბობდა. მიღიოდა შიათულად, გა-
მოცოცხლებული და გაცინებული. ქვევით ორლობები რომ
ჩავიდნენ, ერთი სახლიდან ქალი გამოვიდა, თან რამოდენიმე
ბავშვი გამოჰყვა და გამოვეგძნენ მგზავრებს.

— გაბრიელ, მიბრძანდებით? — კი არ გეწყინოს, და ერ-
თი პატარა საჩუქარი უნდა გაგატანო ივლიანესთან.

მან ფრთხილად გაშალა ჩვარში შეხერეული კარგა მო-
ზდილი, ერთის მხრით ფერადი მძივით ნაქარგი და მეორე
მხრით კი ოთხი ფერადი აბრეშუმის ნაჭრისაგან შეკერილი
დაღ-ფორმიანი ჭისა.

— მასაცით მიმაჩნია, ლმერთმა კი იცის, რეა წელიწა-
დია შენიხელი მაქს მისთვის... ჩემ მაგიერად მიუტანე: უთ-
ხარი, მენივამ გამოგიგზავნა თქვა; ვიცი ვიამება, ჩემთ ივლი-
ანე, ნახელობით გიგზავნი თქვა; და-ძმობის გამჩენმა ლმერთ-
მა დიღხანს გაცოცხლოს და შენი კა დედ-მამა გაცოცხლოს
თქვა...

— მეიტანე, ჩენავ-შვილო. მისთანა კაცი რომ არ იყოს,
შენი ნახელავი მაინც ნამეტანი გაუზარდება...

— გაბრიელ, რავა გეკადრება... ვერ დამიძახე; ახლა ამ
ხურჯინს შენ გაგატან, მე ვერ ჩაგიტან სადგურზე? — ეუბნე-
ბოდა მეორე ეზოდან გამოსული ახალგაზდა გლეხი გაბრიელს.
გაბრიელს არ უნდოდა მიეცა, მაგრამ ახალგაზდა არ მოეშვა,
გამოართვა და წაულო ხურჯინი. შეზობლები, ვინც სახლში
იყო და დაინახეს, დიდის ხალისით ეგებებოდნენ და გზას ულო-
კავდნენ მოხუცებულებს; ისინიც სახე-გაბრიწყინვებულნი, ბედ-
ნიერნი მიეშურებოდნენ თავიანთ ერთად ერთ ნუგეშ და სი-
ხარულ შეიღლისაკუნ.

სადგურზე ჩასელისას იღათიშ ოჩაფეხები გაიხადა და ჩა-
იცვა თავის „პოლსაპოლეკები“. იღეს მესამე კლასის ბილეთე-

*) ჩისაგან გაკეთებული ფეხსაცმელი.



ბი და როცა მიტარებელმა ჩამოიარა, ჩასტუნენ და კუთხით და გადამიზნებენ თბილისის კუნძულების გვერდის.

გამრიცელს და მოათის თავიანთ მაზრის ქალაქის გარედა ქა-
ლაქი არ ენახათ და თბილისის შესახებ არავითარი გარკვეუ-
ლი წარმოდგენა არ ჰქონდათ; მიტომაც მეორე დღით, რო-
ცა თბილის ჩაეიდნენ და სადგურზე ჩამოხტნენ, აღარ იცოდ-
ნენ საით და როგორ წასულიყვნენ. არავინ არავითარ ყურად-
ღებას არ აქცევდა; პირ — იქით, რამთაც იმეჯერ ხელიც კი
ჰქონდეს და გააგდეს, გზაზე ნუ გვიშლით, იქით წადითო. უკ-
ვირდათ და თან თავზარსა სცემდათ ეს ამოდენა ხალხი, ხმა-
ურობა, ფუსფუსი და ლრიან ცელი, ეტლებისა და ტრამვაის
გრიალი, — და შეშინებულნი ხან აქეთ გარბოლნენ, ხან იქით
აწყდებოდნენ და ხან ერთს, ხან მეორეს ეკითხებოდნენ:
„სადა სდევის ჩენი შეიღი, იღლიანე ბუკა შეიღლიო?“ — ზოგს
აცინებდა ეს კითხვა, ზოგიც კი გულგრილად ეუბნებოდა, არ
ვიციო.

— არა, რა უზრდელი ხალხი ყოფილია, შენი ჰირიმე!.. —
ჰელიობრძა აღათი.

ბოლოს ერთი ჭალი გაჩერდა და ჰყითხა:

— Հուն սժամը, Ձեմի՞ւր?

— შვილს, ჩვენ შვილს; სანათვად ჩამოვედით ხოჭლიდან. ივლიანე ბუკაშვილია, სახელოვანი კაცი, ქვეყანაში ცნობილი.

ଫେର୍ମ ଅନ୍ତର୍ଜାଲ କାଗଜିତା.

— Տարա Տըգիտս, Ի՞ն մոհինչը, առ ոչու?

— რა ქუჩაზეე, პოო: ანდრეზი რომ გვაქ, აღათი, იგი
უნდა ვაჩვენოთ.

გაბრიელმა გადმოიღო ძირს ხურჯინი და კარგა ხნის ძებნის შემდეგ უბიდან ამოიღო ქალალდი, სადაც ადრესი ეწერა.

ქალმება წერილობა და უთხრა:

— ով, յե յուրիօ օվալուն Շուրս առնես. ու ամ ցիսն դասց-
յուտ, ուսուցտ, ուսուցտ Տուրուն Յուրածանուն ու եղան Շընցլուցնոտ:

ხიდის თავში დიდი რკინის კაცია, ძეგლი, — მაშინვე შეატარებული არ იმ ხიდზე გადით, იქ დიდი ბალია; ბალი აიარეთ, დიდ ჭურიაზე ახვალოთ, იქ იყითხეთ, და გასწავლიან: იქიდან შორს აღარ არის... ქალალდი აჩვენეთ.

— მაღლობელი ვარ, შენ ვაკოცხლია დმერთმა,

ვაბრიელმა ისევ წამოიკადა ხურჯინი და გასწია წინ შეაჭურიში, აღათიმაც ამოიკარწახა კაბა და გამოუდგა უკან ქმარს თავის ბოხჩით ხელში. საშინელი ტალახი იყო. ზევიდან თოვლ-კუპი მოდიოდა. ტრამვაის წყარუნი და ეტლების გრიალი უშლილა იმათ სიარულს; ტალახი ეშხაპუნებოდათ და თავით-ფეხამდე ტალახით დაწინწყლულები იყვნენ. მაგრამ მაინც ყოჩალად და მხიარულად მიაბიჯებდნენ ტლაპოში; ვერც-კი ამჩნევდნენ, რომ ქვაფენილებზე მოსიარულე აუარებელ ხალხში აქა-იქ ზოდიერთები ჩერდებოდნენ, ერთმანეთს იმათკენ აჩვენებდნენ და ხარხარით ამბობდნენ:


— შეხედე, შეხედე, სოფლიდან ჩამოსულები არიან, შეაჭურიში რომ მიბძანდებიან... ხურჯინს უურეთ, ხურჯინს!

მხოლოდ ერთხელ დაისცენეს ქვაზე ქუჩის პირას, ამოილეს შვადი და ყველი და დანაყრდნენ. დაათვალიერეს, ხომ არ გაფურცდა ხავაპურები და მსუქანი ქათმები, ხურჯინში ერთად ჩაწყობილია, და ისევ გაუდგნენ გზას. თუმცა იმ ქალმა უთხრა: რკინის კაცი ნახვათო, მაგრამ, სანამ იქმდის მიეიღორდნენ, კიდევ მრავალჯერ იკითხეს.

უკვი მოსალამურდა, როცა იმ ქუჩის მიაღწიეს, სადაც იცლიანე სკეოფრობდა.

ნინო ნაკაშიძე.


(დასისრული აქტება).





ଧୂମ ପଣ୍ଡିତ.

୧



ଅଳାଲମିଳ ମିତାମି ଶାଶବିଲିଙ୍ଗମିଳ
ରୁବିନ୍ ହିଂକ୍ଷାର ମିର୍ଜିଲିଲ କୁମିଳ;
କମା ଗାଯମିଳିଲ ମିତିଲ ନିବ୍ରମିଲ,
ରୁକ୍ମିଳ କ୍ଷେତ୍ରି ଗାଇନିଲା.

ପ୍ରେର ଗାଲାଲା ଏଫରିନିଲୁଲାଲ
ମିତିଲିଲ ପିତିଲ ତେତିଲିଲ ନିବ୍ରମିଲ;
ମିତିଲ ଶୈକ୍ଷିରିଯିଲ ମିଲିଲିଲିଲିଲ
ଶୁନ୍ମରାଗିଲ ଲେଙ୍ଗାଲ ମିତ୍ରାନ୍ତ ଲିଲିଲ.

୨

ଯମିନ୍ଦିବା ରୂପିଲିଲାଲ ମିନିଲିଲିଲ,
କୁଳାରା ମିତାଲ ଯମିନ୍ଦିବା;
ତନ୍ଦିଲିଲ ଟୁକ୍କିଲ ମିଲିକିଲିଲିଲିଲ,—
ମିନିନାର ମିତା-ଦାରି ରୁତିନ୍ଦିବା.

ଦାନ୍ତିପିଲାଲ ନିଃକାଲୁଲିଲାଲ
କୁର୍ରାଲ କୁର୍ରିପିଲିଲ କିଲିକା-କିଲିକା;
ଦାମିଲିଲ କୁର୍ରିପିଲିଲ, ଗମାରିଲ ରୂପିଲ
ଅଳାର କୁମିଲ ଫରିଲିଲ କର୍ତ୍ତବ୍ୟନା,

არც ყველილთა იმოფუშვენა,
მუშკა-ამბართა იღმია კვევა,
მხოლოდ ხედავს, ფრთხილი ნისლი
გოლიათ მთას ვით ეხვევა.

8

დახოცილა იითქოს მთები,
მიტომც ასე შესუდრულა:
ვერცხლის ჯილა თავს უმშვენებს;
ხედავ, — ცაში აზიდულა.

მარმარილოს ღრუბელი კუშკი
ცის კიდურზე დაყიდულა,
ვერც გაარჩევ — რომელია
მთის წვერი, ან ღრუბლის ქულა.

9

სიჩუმედ ყოველი მხრით:
ვიშ ჭალარა ღმერთებს სძინავს, —
— ეს ვისია თეთრი რაში,
გათოშილი ოდნავ ფშვინავს;
ლუმილია მასზე მჯდომი,
უდარდელად რო დატრინავს.

კ. აბაშისპირელი.





მხიარული ჟოგა.

მოგონება გიმნაზიელისა

(თარგმანი).



ლევანდელი საშობაო უქმეები მოწყენით უნდა
გამეტარებინა.

ჩემი შშობლები მოელის ოჯახობით პე-
ტერბურგში ცხოვრობდნენ ამ ზამთრობით და
მხოლოდ მე ვიყავი ვილნოში, რაღაც აქა-
ურ გიმნაზიაში ესწავლობდი. ეცხოვრობდი ღარიბ მესამებს
თან პატარა ოთახში.

დღესასწაულებში ამხანაგები უკელანი წავიდ-წამოვიდნენ
თავიანთ შშობლებთან ან ნათესავებთან.

ვილნოში მე ნაცნობი ოჯახები არა მყავდა, ვიყავი მო-
წყენილი და არ ვიცოდი, უქმეები როგორ გამეტარებინა.

განსაკუთრებით ვიგრძენ მარტოობა ოც-და ოთხ წელში მარტოობა მესათე, — ჩემი სახლის პატიონი, ამ საღამოთი წაეიდა თავის გათხოვილ დასთან, სადაც თავი უნდა მოეყარათ ყველა მათ ნათესავებს.

სახლში დავრჩით მე და მოსამსახურე ანეტა.

საწერ მავიდაზე აბაურ-ჩამოფარებული ლამპა იღვა. მავიდა კარგად იყო განათებული, ოთახს-კი მკრთალი შუქი ეჭინებოდა.

მეორე ოთახში გაისმოდა სხვა-და-სხვა ჯურის სათების კაცე-კუკი და დაგა-დუგი.

უოველივე ეს. მეორე ოთახში ხმაურობა, ანეტას უმოწყვალო ხმით გალოობა და ოთახში მკრთალი შუქი—მიორკეცებდა დარღვევა და მოწყენილობას.

— ახლა ჩვენებს შობის ხე ექნებათ გაჩაღებული, — გამოულვა ფიჭრა:

— თუმცა ისეთი პატარა აღარა ვარ, შობის ხეს შევხარიდვ, მაინც სასიამოვნოა გაჩაღებულ შობის ხისა და მხიარულ ბავშვების ყურება... საშობაო საჩუქრის მიღება! მართოლია, ფოსტით ათი მანეთი მიეღიდე მშობლებისაგან საშობაოდ, მაგრამ ფული საშობაო საჩუქრის მაგივრობას ვერა სწევდა.

— შობის ხეს მოჰყვება ვახშამი, — განვაგრძობდი მოგონებას, — თევზი, ცხრა-წვენა, სხვა-და-სხვა ხილეული, წანდილი, და საღამო დამთავრდება მკითხაობით. მე-კი აქ ეშმაკივით ვარ გამომწყვედეული.

და თუმცა იმ ეამად 16 წლის ახალგაზრდა ვიყავ, მაინც კინალაშ არ ვიტირე.

იქნება ცოტაც რომ დამულოდა, კიდევ მეტირნა. უპად შესწყდა ანეტას ღალადი, მოისმა კარების ჭრიალი და ერთ წუთის შემდეგ ჩემ ოთახში თავი შემოჰყო ჩემმა ამხანაგმა დრევვუსკამ.



— სტას! — წამოვიძიბე გახარებულმა, — გმიაღლუმში, — მშენებელები
მარო, მოსვლისათვის. დაჯექ, დაწექ, როგორც გსურდეს!
გინდა ჩინ თუ არა!

— უარს არ ვიტუყი, — მიპასუხა ხმის გაჭიანურებით. სა-
ხლიდან მოწყენილობას გამოვექეცი. მოდი წავიდეთ საღმე.

— სად ან ვისთან წავიდეთ? — შეკეკიოხე. — უკაცრავად,
ცოტა ხანს მარტო დაგტოვებდ. — უთხარ და სამზარეულოში
გვარდი. ჩემი განკარგულება აღარ დასჭირდა; ანტას უჩე-
მოდ დაედგა სამოვარი და ახლა ისევ ხმა-მალლა გალობდა.
ფული შევეცი პურის მოსატანად და შემოვბრუნდი. დრევუს-
ჟი უკე დივანზე იწვა და ხელები თავ-ქვეშ დაეწყო.

II

სტანისლავ დრევუსჟი — სტემბო, ჩამომავლობით და გვა-
რიშვილობით არის ტორატი, მდიდარი, ლამაზი, ცოტა კი-
ნიანი და თამაში ახალგაზრდა მთელი კლასის საყვარელი
იყო, განსაკუთრებით ჩემი. ყველაფერი მომწონდა იმისი: ნა-
თელი, ფერ-მკრთალი ხახე, მაღალი შუბლი, მშვერიერი
ცის ფერი თვალები, ფაფუური წიბლის ფერი თმა. მომწონ-
და იმისი მოხდენილი, აუნქარებელი მიხრა-მოხვრა, საღი
მსჯელობა და განვითარება.

მაგრამ ყველაზე მეტად მეც და, დარწმუნებული ვარ,
სხვებსაც გვხიბლავდა იმისი ნამდვილი კუთილ-შობილური კე-
თილი გული.

სტემბო თითქმის გელმინოვიჩის ჩამოშავალი იყო, ზა-
გრამ მითი ის არ ამაყობდა. ერთნაირ სალაში იძლევდა
ობრიენდე-ლიას და ლარიბ შეგირდს, გვარად ფუნქს.

თუმცა დედ-მამის ნებიერი იყო, მაგრამ ამხანავობაში
არავის ჩამორჩებოდა. ვერაეკი შესწავმებდა სიმხდალეს ან გა-
დაჭარბებულ სინაზეს. საერთო საქმეებში არასოდეს არ ულა-
ლიატნია ამხანავებისათვის.



ჩვენ დავძმობილდით მესამე კლასში და შემდგრძელდით და დავშორებულვარით ქრთმანეთს გიმნაზიის გათავებამდე.

საშინლად გამეხარდა იმისი მოსვლა და გადამაციწყდა მარტოობა.

III

— უქმებში შინ არ წასულხარ? — შევეკითხე დრევუს-სკის.

— როგორცა ჰხედავ! — მიპასუხა. მამიჩემმა შემომითვალა, პეტერბურგიდან 22 დღეებმეტს ჩამოვალ და ერთად წავიდეთ შინაო. ახლა-კი დეპეშით მატყობინებს, რომ მაღაფ ვერ ჩაბრივი. მე მაინც გადავწყვიტე მოუკადო. დაურჩი, მაგრამ საშინლად მოწყენილი ვარ! შენა?

— მე ნულარა მკითხავ!

ორივენი გაეჩიდათ. კედელს იქით საათებს გაპქონდა რაკა-რაკა. სამზარეულოში გაისმოდა ანეტას სიმღერა. გაჩუ-მებულები ვიწევით მე ჩემ საწოლ ტახტზე, ის დივანზე.

— როგორცა ვხედავ, ყველგან მოწყენილობა, მაგრამ ჩვენს სახლში გადამეტებული. ის ვევდერთელა ოთახები და-ცარიელებულია. მხოლოდ ჩვენი მიხეილა დაიფრატუნებს შიგ თავის უშველებელ წალებს და მოჩვენებას მაგონებს. იმისმა ეფემიამ სადლესასწაულო სუფრა გამიმართა, მე კი გამოვეპარე.

— კარგად მოქცეულხარ!

— ამასობაში ანეტამ სამოვარი გამართა და ჩის სმას შეუ-დევით. ანეტამ გალობას კიდევ არ ულალია და სამზარეუ-ლოდან შეგვაძლევდა თავის წრიპინა ხმით.

— იცი რა გითხრა? — წამოიძახა უცბად დრუევუსსკიმ და სახე გაუბრწყინდა — მოდი და კლიჩოს ვეწვიოთ. მე იმასთან დაპატიჟებული ვარ, ოც-და შეიდამდე იმასთან გავატაროთ დრო და შემდევ დავბრუნდეთ. ოც-და რეაში მამიჩემი ჩამო-ვა და სამთავრენი ჩვენსა წავიდეთ. როგორ მოგწონს ჩემი აზრი.



— არ შევავიწროვებთ?

— რას ამბობ? — როგორც ის ლაპარაკობს, მდიდრები უნდა იყვნენ. ერთხელ ხომ არ დაუპატიქნივარი! შეონია, გაუხარდება ჩვენი მისვლა.

დრევუსკი ლაპარაკში მომხიარულდა.

— ვინდა გადაორჩია კლინის, რომ არ დაეპატიქნოს, — უპასუხე მე.—მეტად გულ-უხე ახალგაზრდაა.!

— ნამდელი პოლონელია! — სოქვა დრევუსკიმ და ვაი-ცინა. — მაში ასე, ეს კარგი მოვიგონე, იმედია, უარს არ მე-ტყვი წამოსვლაზე.

დრევუსკიმ სტაქანი დასკალა და ფეხზე წამოდგა.

— მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ ორივენი წა-ვალთ; მარტო-კი ვერ გავძელავდი.

— ჩემი აზრიც ეგ არის. მაში, როდის მიედივართ?

— ხვალ დილით. გზა იცი?

— სადგური ოლვენიკი, მეტი არაფერია საჭირო, მივა-გნებთ, — სოქვა დრევუსკიმ და ქუდს ხელი წამოაფლო. — ა-ლა-კი მშეიდობით! მაში, ხვალ დილით?

— ხვალ დილით, დავეთანხმე მე და ამით გავშორდით ერთმანეთს.

IV.

ჩვენი კლასი ოდნავ განირჩეოდა სხვა კლასებისაგან. ჩვენ „ფრანტები“ ეიყავით. კომწიაობას თავის და უნებურად შეგვა-ჩვია ყველას საყვარელში დრევუსკიმ და ობრიენდე-ლიასმა.

ეს ყმაწვილები ყოველთვის უნაკლულოდ იყვნენ ხოლმე ჩატარები. ხშირად საკუთარ ეტლით მოდიოდნენ სასწავლე-პელში. მათი სისულთავე და კომწიაობა გვაიმულებდა ჩვენც მიგვეძებია ყურადღება ტანისამოსისთვის. მეტად გულხალვა-თად ვხარჯავდით ჩვენს მცირე გროშებს ჩატა-დასურვაზე.

ზემოდ დასახელებულ ყმაწვილებს ჩატა-დასურვით თი-თქმის უთანასწორდებოდა კაზიმირ კლინიკური, რომელიც კლა-



ში მეორე წელიწადს იჯდა, იყო ლამაზი, შავგვრემანი კარგი კაცი კუანილი ტანის ყმაწვილი. ახლად აშლილი ულვაშემით ბართლა მეტად კოპწია რამ იყო.

გამოსცილდებოდა თუ არა გიმნაზიის კარებს, თვალებზე „პენსიეს“ გაიკეთებდა. ფულსაც თავისუფლადა ჰხარჯავდა; მანეთს ფულს არ ეტყოდა, იქებდა მამულს.

— ერთხელ მეწვეოთ როდისმე. სასიხლე დიდი გვაძეს, არ შეგვავიწროვებთ თქვენის სტუმრობით. მშვენიერი სანადირო აღილები გვაძეს, თოფები, ცხენები, მწევარ-მეძებრები—ყველაფერი მოიპოვება ჩვენს სახლში,— გვეტყოდა ხოლმე კლინიკა ტრაბაზით და თან სიამოვნებით შეუშრვენდა.

— ი ადრესიც. სადგური ოლქენიკი, კლინიკა. როცა მოდიოდეთ, დეპეშა დამიკარით და ცხენებს დაგამვედრებთ სადგურზე.

იმის ლაპარაკს ყოველთვის კვების და ფაფხურის კილო ჰქონდა.

დაურიდებელი ზაბლოცი ხშირად გააწვევერინებდა ხოლმე ხმას.

— გირჩევნიან ისე იქცეოდე, რომ გვარი ამაყობდეს შენით და არა შენ გვარიშვილობით, — ეტყოდა ხოლმე.

დარევუსსაც და ობრიენდე-ლიასიც დასკინოდნენ კლინიკას ტრაბაზე, მაგრამ კეთილი სათნოიანი კილოთი.

კლინიკა ტყუილების ლაპარაკის დროს პოეტურ აღმაფრენას ეძლეოდა.

— კლინიკა... ჰკიოთხეთ რომელსაც გსურთ ლიტვინს. ვინ არ იცის ეს გვარი?

— ი, მაგალითად, მე არ ვამიგონია,—ჩაურთავდა სიტყვას ზაბლოცი ლაპარაკში.

კლინიკა ზისლით შეიშმუშნევდა შერებს და, ვითომ არც კი გამიგონიაო, განაგრძობდა ტრაბაზს.

სხვაფრივ კი კარგი ყმაწვილი იყო: კეთილი, გულადი,

კარგი ამხანაგი. თი ამ კლიჩეოსთან წავედით მე და არ გვეცის ჭია
შობა დღეს.

V.

ვაგონში ცხელოდა. პალტოები გაფიხდეთ; სკამებზე წა-
მოვწერით და მხიარულად ვლაზნინდარობდით.

— რა კარგი მოგონე, სტას, კლიჩეოსთან წამოსვლა,
დავიწყე ლაპარაკი. საშინალ მოწყენილი ვიყავი და მარტო-
კა არსად არ მიმწევდა გული.

— გაუკვირდება კი ჩვენი ნახვა!

— გაუხარდება. ხომ იცი — კვეჭნა უყვარს და ახლა დრო
და საშუალება ეძლევა ტრაბახისა. უკელაფერს გაზევიადებით
წარმოგვიდგენს.

— თუ იცი, დები ჰყავს თუ არა?

— არ მახსოვს.

ასე ვლაზნანდარობდით მატარებელში. ჩვენს ვაგონში
მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა. ერთ პატარა სადგურზე კა-
რი გაიღო, ვაგონში სიციფისაგან შეკუმშული ორთქლი შე-
მოვარდა და თან შემოჭყვა ერთი ახოვანი კაცი, რექს ტყავში
გახვეული, ყაბალისხით ჰქონდა თავი შებორბლილი, ასე რომ
კაცს დიდს კვასს მოაგონებდა.

მგზავრმა თავისუფლად ამოისუნთქა, ჩვენ გვერდით სკამ-
ზე საგზაო ბარკის პარკი დააგდო, თავიდან ყაბალახი მოიხსნა
და ტყავი გაიხადა.

ყვითელ ახალუხში უფრო წარმოსადევი, ბრგე კაცი გა-
შონინდა და ჩვენ უნებურად გაუცინეთ, როცა იშან ლიმილით
შემოგვედრა.

— ზორბა ყინვა! — სოჭვა უცნობმა: — ვიდრე სადგურზე
მოედოდი, მეგონა გაეკუინებოდი. — აქ გახსნა პარკი და ამო-
ალიაგა საუზმე. ჯერ ბოთლი მოიყუდა და შემავევ მაღიანიდ
შეექცა საუზმეს.

— არ ინებებთ, ყმაწვილებო? კარგი არაყია.

ჩვენ მადლობა გადაუხადეთ და არაუზე უარი განვაცხადეთ ის ძეხვი ინებეთ, შინაური გაკეთებულია.

ჩვენ კიდევ უარი განვაცხადეთ. ახლა კი უკნობს წევნა დატყო სახეზე.

— გაშ ნაზუქი ინებეთ, კარგი ნაზუქია, შინაური, ჩემი ქალის გამოცხობილი.

შეტი უარი უხერხული იყო.

პარკიდან ნაზუქი ამოიღო.

მიირთვით, მიირთვით! პარკში ბევრი მაქვს კიდევ. მე კი ბოლოშს ვისდი თქვენთან, ჩიბუხი უნდა გავაკეთო. ამ სიტუაციებით ახალუხის კალთა გადიწია და განიერ შერვლის ჯიბიდან ამოიღო ქისა და ჩიბუხი. ერთ წუთს შემდეგ მოელი ვაგონი მოიცავა მწარე თამბაქოს ბოლმა.

— ალბად შინისკენ მიემგზავრებით, ყმაწვილებო? — გვითხა უცნობმა.

— არა, — უპასუხა ლრევეუსსკიმ, — სტუმრად მიედივართ დროს გასატარებლად.

კოლიათმა თავი დაიქნია.

— კარგია, დღესასწაულები კაცმა მხიარულად უნდა გაატაროს. — შორს მიბრძანდებით?

— ოლკენიკში.

— ოლკენიკში? ხა-ხა-ხა! მეც ილკენიკში მიედივარ.

ქალაქში მიბრძანდებით თუ ვინმე შემამულესთან?

— მემამულესთან, კლინიკოსთან.

ერთ წუთს ისე მეგონა, მოლაპარაკეს თამბაქოს ბოლმა სუნთქვა შეუხუა მეთქი: ჩიბუხი ხელში გაუშეშდა, თვალები გაუშტრერდა და სისხლით ავსო.

— მემამულე კლინიკოსთან? — წარმოსთქვა ბოლოს და, როგორც იყო, სული მოიბრუნა.

— დიალ, იქნება თქვენც იცნობთ? სადგურიდან შორს ცხოვრობს?

— კოლიათმა თავი დაიქნია.



— ვიცი, ვიცი! ორის საათის სავალი გზა იქნებოდა ჩემი მომავალი დღეების წერტილისათვის; ჩემი ნასიამოვნები ვიყავით, რომ შევხედით ასეთ კაცს; გზაც იყოდა და ჩემი მგზავრიც იყო.

მინდოდა მეყითხა რამე კლიჩქოებზე და გამოველაპარაკე ვოლიათს.

— მიბრძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, კლიჩქოები ცნობილი გვარის მემამულენი არიან?

— ამ, კლიჩქოებს ყველა იცნობს! კლიჩქოები... აქ უცნობმა ხელი მაღლა იიღო, დიდი გვარიშვილები იყვნენ! დიდებული თავადები! თვით მეფე კადრულობდა მათთან სტუმრობას.

— კაზიმირისაგან ჩვენც აგრე გაგვიგონია... კაზიმირი ჩვენი ამხანაგია.

— მეონია მხიარულად გავატარებთ დროს, — დაუშატა დრუჟევუსსკიმ.

“უცნობს კოტა ხანს კიდევ რაღაც დაემართა. - თითქოს თამბაქოს ბოლმა კიდევ სუნთქვა შეუერთო და შემდევ კი საშინელი ხარხარი ხატება.

— აი, სასაცილო ამბავი! აი კომედია! — წამოიყენებდა ხოლმე, როცა სიცილს შეიკავებდა; სულს მოიბრუნებდა და ისევ ჩიკავანდებოდა.

— ნეტა ვიცოდე, რაზე იცინით აგრე გულიანადი? — შევეკითხე შე უკავიყოფილო კილოთი.

— არ გეწყინოთ, ყმაწვილებო, მე თქვენ სიტყვებზე არ გამიცინია. რაღაცა მომავინდა სასაცილო და იმაზე ვიცინი.

თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა და შემდეგ მოგვმართა.

— მერე და თქვენ კაზიმირ კლიჩქომ მიგიწევიათ?

— უამისოდ მაშ რად წამოვიდოდით? — უპასუხა დრუჟევუსსკიმ. ორი წელიწადია გვეპატიუება.

— ჰო, მაშ, აგრე...

გოლიათმა პირიდან თამბაქოს ბოლი გამოუშვა და კიდევა გვეკითხა:



— მდიდარი შემამულება?

— თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ.

ჩვენ გავონებით ვიცით... და აქ მე გადავეცი თითო-ოროლა კაზიმირისაგან გავონილი ცნობა იმათ ჩამომავლობისა და სიმღიდრის შესახებ. ამანაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცნობზე. დიდ-ზანს იცემდა მუხლებზე ხელებს, იცინოდა და გაიძიხოდა:

— ჰაი, ის ცულლუტი, ის ლაზლანდარა ისა! ჰელავი! ჰელავი!!

— თქვენ ვისთან მიემგზავრებით? — ჰეკოთხა დრუევუსსკიმ.

— მეც კლიჩკოანთსა მიედივარ, — ხოლო თქვენ კაზიმირ-თან მიდიხართ, მე კი პან ფელიქსთან.

— ძალიან სასიამოვნოა! — წამოიძიხა დრუევუსსკიმ, — მაშე ერთად ვიმგზავრებთ!

— ნამდვილსა-ბრძანებთ.

ამ სიტყვების შემდეგ ჩიბუჭი შეინახა, პარკი შეტკრა და შეუდგა გადასასვლელად მზადებას. ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ წინ რაღაცა ვეებერთელა მთასაცით აგორდა.

— დროი, ყმაწვილებო, თქვენც მოემზადოთ! ხა-ხა-ხა! ცხირ-პირს შემოგაუინავთ. მუნდირსა და თეთრ ხელთამშანებ-ში გამოჭიმულზართ და ყაბალახები კი არა გაქვთ!

— ჩვენ მაღალ—საყველოიანი პალტოები გვაქს, დიდი გზა არ არის საფალი, — მამაცად უპასუხე მე.

— კეთილი, კეთილი, აბა, მოემზადენით!


მატარებელი უახლოვდებოდა სადგურს.

ჩვენ პალტოები ჩაეიცით, და რა წამს მატარებელი გა-ჩერდა, გაცყელით უკან გოლიათს, რომელიც განვებამ ასეთ კარგს დროს მოვალინა.

* * *

მ. კლიმიაშვილი.

(შემდგები იქნება).



უკნებელი მარგილი.

(n 3 + 3 n).



Б ალხნო, თქვენი კირიმე, რა ნახეს ჩვენმა
თვალებში! კინალამ საშინელი უბედურება
დატრიალდა ჩვენ უბანში! საზარელი სა-
ნახობა ასცდა ჩვენ სოფელი!.. ასე ვა-
ჰვიოდა შიშისაგან აკანკალებული ხმით
სრულიად გადაფილებული კაცი, რომელ-
მაც მოულოდნელიდ მოირბინა სასოფლშე ჯგუფად შეგროვილ
გლეხებთან.

— რა მოხდა? რა ამბავია? — ცნობის-მოყვარეობით მისცვლელები ყველანი ერთად.

— ის ამბავია, რომ ჩვენებიანთ თელი კაკლის ხეზე ისულიყო დასაბერტყად, როცა კენწერომდის მიერწია, უცაბედად ფეხი დასხლტენდა, ხელებიც გაშვებოდა და იმ სიმაღლიდან ძირს თოვის ტყეიასავით თავდაყირა წამოსულიყო. დაბლა ღობე დაზვდა, სულ ჩაჭერა; მაგრამ რაღაც სისწაულით მარგილს ასცდა და ზედ იმ ჩამოვავ!


— მაღლობა ღმერთს, რაյი ასცდენია! ხომ სიკედილს გა-
დარჩია?

— ამა, ისე მძლავრად დაეცა მიწაზე, რომ მსწრაფლ
ვანუტევა სული.

მაში, შენის სიტყვით, უკნებლად მხოლოდ მარგილი დარჩენილა, — მწარე დაცინებით მიაძახა ხალხმა მომზეს.

၁၃။ မိုင်ကာနာရွှေဂြာ.


ნიკოლოზ გასარიონის-ძე ღოღოგარიძე



დეკემბერში გადაიცვალა საქართველოში ცნობილი მოღვაწე და ქველმჯედი ნიკოლოზ ბესარიონის-ძე ლოლობერიძე. განსცენებული თუმცა 70 წლისა იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ იყო და დიდის სიყვარულითა და გულმოდგინებით ადეკვატურა თვალ-ყურს ჩვენ ცხოვრებას და იმისი გული გამსჭვალული იყო უმცროს ღარიბ მოძმეთადმი სიყვარულით: ყოველთვის თანა-

გრძნობით და ყურადღებით ეპურობოდა ხალხს. ხალხის კეთილდღეობას სულიერ განვითარებასა და სწავლა-განათლებაში ხედავდა, და სწორედ ამ მიზნით მოვლი თავისი მოძრავი ქონება, 66 თასი მან., დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კოთხის გამაცრულებელსა და საისტორიო საეთნოგრაფიო ხაზოვადოებას, სწავლა-განათლების სხვა-და-სხვა საქმისათვის. ხაზოვადოებისათვის, მეტადრე ჩვენ მცირე-რიცხოვან ქართველ თათვის, ყოველთვის სამწუხარით მიმისთანა წრფელი, განათლებული, შეგნებული მამული შვილის დაქარგვა, და ვინუ-კი იცნობდა ცოტათი მაინც იმის კაც-მოყვარე გულს, მწარედ დაალონა იმისმა გადაცვალებამ.





მამია გურიელი და მისი პოეზია.



რც ერთ ქართველ მწერალზე ისეთი მძღოვრი და-
ლი არ დაუსვამს მემკვიდრეობას, აღზრდას და სა-
ზოგადოებას, როგორც ცნობილ პოეტ მამია გუ-
რიელზე. იგი დაიბადა 16 იანვარს 1836 წ. სოფ-
ლესას და სამომავლობით ეკუთხნდა უუძველესს გვართაგანს;
პირველი გურიელი ცხოვრობდა მე-XIII საუკუნეში. ორი სა-
უკუნის შემდეგ ამ გვაროვნობაში სახელი გაითქვა კახაბერმა,
რომელიც მამიასთვის შემულის ერთგულების იდეალი იყო.
მამიას მამა, დაეთ ვახტანგის ძე, მოხვდებოდა გურიის მთა-
ვარს ვიორგი 1-ს შვილის-შვილად და უკანასკნელ გურიის
მთავარს მამია სიმონის ძეს ბიძაშვილად. დედა პოეტისა, ეკა-
ტერინე, დადიანის ასული იყო და ტყბილის ხასიათით ჰერბ-
ლავდა სუსყვას. მათ სახლში განუწყვეტლივ თავმოყრილი
იყო გურიის თავად-აზნაურობა დროს გასატარებლად. მამიას
პატარაობითვე აჩვევდნენ მემკვიდრეობით ამპარტავნებას და
ბატონყმურ მიდრეკილებას. ერთი აზნაური პირს ჰბანდა, მე-
ორე ტანისამოს აცმევდა, მესამე სუფრას უშლიდა, მეოთხე
მერიქიფედ თავს ადგა. მამიას გამდლად მიუჩინეს კახელი ქა-
ლი ჯანვერდი, რომლის აუქარებელი სიტყვით ნაამბობი
ზღაპრები მოქმედებდნენ პოეტად დაბადებულ გურიელზე.
როცა მამია შეიქმნა 6—7 წლისა, სწავლი დააწყებინეს ხუ-



ცურ-მხედრული ანბანით. მხოლოდ 15 წლისა მიუღვიშებული მისი
ქუთაისის გიმნაზიაში და იქ მიაღწია მესამე კლასისძე
1853 წ. მამია ტფილისში ჩავიდა და სამხედრო სამსახურში
ჩაირიცხა. ჩქარა მოუხდა ბრძოლის ველზე გასვლაც და აქ
პირველად დასწერა ლექსტი „ფარვანა“, „ჯაბას“, „სატრაფო-
სადმი“.

მამია სამსახურის უდელს ვერ იშვნევდა და ხშირად მი-
ეშურებოდა ხოლმე გურიისაკენ დროს გასატარებლად. ტფი-
ლისის სტუმარიც არა-იშეიათი იყო; აქ შეირთო თავადი შე-
ღლიქიშვილის ქალი და ორი წლის შემდეგ ცოლ-ქმარნი დაშორ-
დნენ ერთმანეთს. საყვარელმა მისმა შეილმა კახაბერმა თავი
მოიკლა და მამია, სამსახურიდან გამოსული, აღშუოთებული
სულის დასაყუჩებლად სამწუხარიდ შეეტვია გადამეტებულ
ლვინის სმის. გარდაიცვალა ქუთაისს, 25 მაისს, 1891 წ.
ლარიბ-უპატრონოდ, ნაყმევ დედაკაცის უიატაკო სახლში.

პოეზია მამიასი გამოთქმა მისი გრძნობების და ცხოვრების
გარემოებისა. მეტადრე როცა დარჩა დაობლებულად, ცოლ-
შვილს მოკლებული, უსახსროდ და უმეგობროდ, მისი ლექსტე-
ბი, სხვათა შორის ბაირონის და ლერმონტოვის ზედმოქმედე
ბითა, დრტვინების ხასიათს ითვისებენ. უმეტესი ნაწილი ნაწე
რებისა მიძლინილია ნაცნობ-ნათესავთა მიმართ; დანარჩენნი
ეხებიან სხვა-და-სხვა საგანს. ორ თემას უფრო ხშირად იმეო-
რებს, პატრიოტულს და რომანტიკულს. საგანი მისი წერილ-
წვრილი ლექსტებისა არის ქალი, მოტივი — სევდა. თუმცა „ბა-
ბაბუ გურიელის ქალის“ და სხებს უძღვნა აღტაცებული ლექ-
სტები, უწოდა მათ „ხმელეთთა სინათლე“ და „ივერიის მნათო-
ბი,* მაინც მას არა სწამს კულუცი ქალის სიმტკიცე და
ერთგულება ქალის შესაქებად დასწერა საუცხოვო სალირი-
კო პიესა, სადაც სხვათა შორის ამბობს:

მეღე რომ ვიყო, ვუფლობდე სრულიად ცისა ქვეშთსა,
უსახლვრო ნებით ვსუფევდე, გიბატონებდი შენ ერთსა;



ლმერთი რომ ვიყო, ერთს წამზედ სრულ კუთხით გამოიყენებოდა
შენს ნებას,

ଶ୍ରେଣ ଗାୟତ୍ରୀଲ୍ୟରେ ନେପାଳୀଙ୍କେ ଏହା ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଗାୟତ୍ରୀଲ୍ୟରେ ଯେତେବେଳେ ଦେଖାଯାଇଥାଏନ୍ତି।

მისი ოცნება, მიურინიავდა წარსული ფეოდალური დიდ-ბის მოსაგონებლად და საერთოდ საქართველოს უმწეო პო-ლიტიკური მდგრამარეობის დასახატვად. ამ ნიადაგზე წარმოა-შეა მისი პატრიოტული ლექსები: „ალავერდი“, „ქობულეთუ-რი ყანის სიმრება“, „კარჩხალის მთები“, „რაშიდ ვარდან-ოღლი“. მამულის სიყვარულს აჰყავს იგი ნამდვილ პოეტურ აღფრთოვანებამდე. მისი „პოეტი და ჩვენება“ წრფელი გვ-ლის ამონაკვნესია. ჩვენება პირდება დამოყვრებას, თუ პოე-ტი ივალებს უგუნურებასთან ბრძოლას. პოეტი ფიცს აძლევს რიტორიულ ფრაზებით და გვაგონებს ლერმონტოვის დემო-ნის ფიცს:

კუთხით საშობლოს ჩემსა დაცუმულს, ბედისგან დასჯილს,
განაწილებსა,
ჩაბალის-ახლილს, ჯაჭვებით შეკრულს და წითლად ნაღებს მის-
ს, მიწებსა...

კუიტავ მეფეთ დას, თავებ-დაკეთილს, ვახტანგს, ვიორგის,
თამარსა კოთილს...

ვფიცავ ქართველის სულს, ჯან-გოუწყვეტელს, ძვირფასსა დრო-
შის, ქრისტეს ჯვრით შემცულს...

დაბალი წოდების სიყვარულმა და მისი გარემოების შეკნებამ დააწერინა ლექსი „ქობულეთური სიმღერა“. დასაწყისი ელევოურია: „გლეხსა ნადი ჰყავს ყანაში, მღერიან ჩაღაუ ზანტათა, დარდებს, წყლულს ტანჯვით უხვევენ, ოფლს აწვეთებენ წიმლათა“. ქობულეთელი, დარიბ სადილზე, ღვინით შეხურებული სხვა ჰანგით მოსთქამს: „ღვინო ერთი მოყვარე გაჭირვებული ხალხისა, გულს დარდის გადამფანტველი, მომალენელი საწყლისა“.

თავისი მოქალაქმბრივი შეხედულება კაცის დანიშნულებული
ბაზე აღნიშნა ცნობილ ლექსში „აღამიანი“?

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი, ქალი, კაცი, გინდ გა-
შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი, გოხოვ აღმისრულო ეს სა-
თხოვარი:
ცხოვრებაში რა შესელასა იწყებ და ბედიც კეთილ-გუნდბიანი
თან დაგდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ, რომ შენ ხარ მხო-
ლოდ აღამიანი.

„იყვავი ტურფა, უებრო, მხნე და კუვიანი, მაგრამ ფიქრი-
საგან არ განიშორო; რომ შენ ხარ მხოლოდ აღამიანი.
შემოხვევამ მოგცა ქონება, ხელმწიფედაც დაგსვა, მაშინაც
უფრო გმართებს ხსოვნა, რომ შენ ხარ მხოლოდ აღამიანი.
თუ ბედს არ უყვარდი, გული მოვიყლა, ნუ დაეცემი და
გამავრდი, ასაღვან უნდა გახსოვდეს, რომ შენ ხარ მხოლოდ
აღამიანი. და ე იცვალოს გარემოება, თვით ნუ იცვლები, მო-
ვა დროება და გიცნობენ, რომ ხარ აღამიანი. ცხოვრების მიზ-
ნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მომეთა ვალად, ხამ-
შობლო შენი მარად გახსოვდეს, თუ გსურს ერთგული გახდე
აღამიანი.“

„რაშიდ ვარდან-ოლლი“ დაიწერა ილ. ჭავჭავაძის „განდე-
ვილის“ ზედოქმედებით. ამას ჰმოქმობს პოემის დასწყისი:
„ერთს მწვერვალზე კავკასის მთისა... სად გრგვინვა ისმის შა-
ვი ზღვის ხმისა, სადაც ტყე, ხევი, კლდე და მდინარე ერთად
შეურილან გასაშტერებლიათ... იქ იდგა კაცი.“ თვით გმირის
ტიპი გვაგონებს უკავყოფილო. ბაირონის ჩაილდ ჰაროლდს,
თუმცა ვერ შესძლო დაეხატა ცოცხლიდ იმედ-დაკარგული და
იღმფოთებული კაცი. პატრიოტული ლირიკაც განმეორებაა
გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის და ივაჯის მიერ შექმნილი
შატრული პოემებისა. პირად უკავყოფილების გამოთქმაში იგი
ჰიბავს ნ. ბარათაშვილს, ხშირად იმის სიტყვების შეცვლით:
„ჰე, ცაო, ცაო... ს შავიკრად ჩართული აქვს: „ჰე, ზღვაო,



ზღვაო“ . საუკეთესო მის ლექსთა რიცხვს კუთხით მომატებული დი“, სადაც მძლავრიად მოისმის პატრიოთული ჰაზგი? უშეგობრებო, ჯერ ვუსურვოთ ჩვენს სამშობლს დღე-გრძელობა და თასებიც გამოვსცალოთ, ღვინოც კარგად შეგვერვება; ასე უთხრათ: საქართველო, ალსდევ, გახდი კვლავ თავხედი, არა რა არს უსაშველო, ყმაწვილებო, ალავერდი! ფიცით შევიკვრით სამშობლოს ბრძანება ძირს არ დავუშვათ და შევასრულოთ:

კმარა, რაცა გვიომენია, აწ-კი ნულარ დავიყოვნებთ, — სხვებისთვის თუ გვიბრძოლნია, სამშობლოსთვის ვერ ვიომებთ?

მამის საუკეთესო ლექსაც ჩითვლება აგრედვე იმისი „შოშია“. თითონ მამია დიდი აზრისა იყო თავის ნიჭე, იგი ამბობს: „მეც ლმერთი ვარ ვიწრო წრეში—გონებისა ნათლის სვეტი“. უბედურიად მოწყობილმა ცხოვრებამ ვერ გაამართლებინა ეს მედიდური სიტყვები.

ა. ხახანაშვილი.





ԱՏԻՂԾԵՐԸ

1. റാഡാർമ്മിന്റാ.



მომ დაეკითხოთ სოფელის აღაშიანს:
როვორი სახისა და მოყვანილობისაა
დედამიწაო, გიპასუსებო—პატყელია,
შენი კირიმე, და მთა გორებით არის დაყოფილი.

— რომ დაადგე გზის და სულ ერთ მხარეს იარო, საღ
ვათვედება დედამიწა? — ეკითხებით თქვენ.

— რამდენისამე წელიშვილს რომ იაროს ადამიანშა, შეხვდება თვალ-გადუწვდენელ ზღვას, რომელშიაც წყალი კუპრიოთა სდგას. ზღვა რომ გადაიაროს ეინძემ, ზღვის იქით უფსკრულია და შეიგ გადავარდება, — გიპასუხებთ გულუბრყვილო იდამიანი.

— რა აჩერებს ამოდენა დედამიწას, რომ ეს უკავშირი მოვარა
ში არ ვარდება?

— დედამიწა, შენი ჭირიმე, გველეშაპზე გაჩერებული-
როცა გველეშაპი დაიღალება და გადაბრუნდება, მიწა იძერის
ხოლო.

— ვხე და მოვარე სად მიღიან?

— დედამიწას უვლიან გარშემო.

აი, ასე ჰეთქრობს და მსჯელობს დღეს უეიცი ხილხი.

უწინდელ დროში კი მოელი განათლებული კაცობრი-
ობაც ამნაირს სვევ აზრისა იყო.

დაუკუირდით მხეს, მოვარეს, ვარსკვლავებს. უველა რგვა-
ლია. შეხედეთ გაბადრულ, სავსე მოვარეს. იგი დიდი, სპე-
რავი ბურთია, რომელიც თავისუფლად დასურავს ცის სივ-
რცეში. იმის გარშემო არავითარი უფსკრული არ არსებობს
და არც არავითარ გველეშაპის ზურგზეა ის დამაგრებული.

ჩენი დედამიწაც ასეა: რგვალია, როგორც მხე. მოვა-
რე, ვარსკვლავები; თავისუფლად დასურავს ცის სივრცეში,
გარეშემო არავითარი უფსკრული არა აქვს, მხოლოდ ჰაერი
აზევები და არც გველეშაპია საჭირო იმის დასამაგრებლად.

ეს კიდევ ცოტაა.

თვალს ისე ეწვენება, თითქოს მხე ბრუნვედეს დედამიწის
გარეშემო; ნამდვილად კი დედამიწა უვლის მხეს დასავლეთი-
დან იღმოსავლეთით.

უკველივე ეს გამოიკვლია და დღესაც იკველევს ის შეც-
ნიერება, რომელსაც ეწოდება ასტრონომია, ვარსკვლავი-
მრიცხველობა.

შეცნიერებმა გამოიანგარიშეს დანამდვილებით, რომ მხე-
სა და დედამიწას შეა ას ორმოცი მილიონი ვერსი მანძილია.
მზის გარეშემო შემოვლის დედამიწა ანდომებს სამის სამოცდა
ხუთ დღესა და ექვს საათს. ამ ხნის განმავლობაში მზის გარე-
შემო დედამიწამ უნდა გასუროს დაახლოვებით რეას საც-
ოდა ათი მილიონი ვერსი. რომ გამოიანგარიშოთ, დარწმუნ-

დებით, რომ დღეში დედამიწაზ უნდა გადაიიროს ორი კრისტალური უნდა და საშას ოთხშოუდა ხუთი ათასი ვერსი დაახლოებულის; მცირება ათში ასი ათასშე ცოტა ნაკლები, თითო წიმში ათას ექვსა-ასამდე და ყოველ წუთში ოცდა შეიღი ვერსი!

— თუ ეს მართალია, რატომ ვერ ვამჩნევთ ყოველივე აპარა? — იკითხავს მეოთხეველი.

იმიტომ ვერ ვამჩნევთ, რომ დედამიწისთან შედარებით ჩვენ ერთ ნამცეცს წარმოვადგენთ: დედამიწა ჩვენთვის თვალ-გადაუწყდენელია და იმის სწრაფ სრბოლაში ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას, ჩვენც თან მივყვებით. რომ შეგვეძლოს დე-დამიწას მოვცილდეთ, ცის სიერულეში ავიდეთ ჰაერს გარედ და იქიდან, დაუკვირდეთ დედამიწას, მაშინ იმის სრბოლასაც ადვილად დავინახავდით

დაუკვირდით მატარებელის, როცა შიგა ზიხართ; ფანჯა-რაში ნუ გაიხედავთ. როცა მატარებელი არ განჯლრევთ, არ გაქანავებთ, ასე გვონიათ, თითქოს ერთ ილაგას იყოთ გაჩე-რებული. ფანჯარაში რომ გაიხედავთ, გერვენებათ, თითქოს ხე, მინდორი, სახლი გარბიან იქითკენ, საიდანაც თქვენ მო-დიხართ; თქვენ კი გაჩერებული ხართ.

გვივე უნდა ითქვას დედამიწის შესახებაც. თუმცა სწრა-ფად გარბის, მაგრამ არ გვარყევს; ჩვენც მასთან ერთად მივ-სრიალებთ სიერულეში და ამიტომ ვერას ვამჩნევთ. დედამიწა ჩვენიანად მირბის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩვენ კი, როგორც მატარებელში მჯდომ ადამიანს, გვერვენება, თით-ქოს შე გარბოდეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და მი-წა კი გაჩერებული იყოს. დედამიწა მარტო მზეს კი არ უც-ლის გარეშემო, თავის გარეშემოც ტრიალებს ისე, როგორც ეტლის თვალი ან ბზრიალა. თავის გარეშემო შემოტრიალებას დედამიწა ანდომებს ოცდა ოთხ საათს.

დედამიწის ბრუნვაზე მზის გარეშემო დამოკიდებულია წე-ლიწადის დრონი — ესე იგი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგო-მა, ზამთარი.



თავის ლერძის გარეშემო ტრიალზე კი დამოკიდებული და დამტკიცებული განვითარებული და ლამტე.

ლამტე მაგიდაზე დადგით ანთებული სანთელი, აიღვთ ვაშლი, კუნწიდან თავისმდე გაუყარეთ მახათი და მაგიდაზე გაიჩირეთ, ისე რომ მახათის წვერი მაგიდაში იყოს ცოტა ჩისობილი.

დარწმუნდებით, რომ ვაშლის ერთი მხარე, რომელიც სანთლისაკენ არის მიქცეული, ნათელია, მეორე კი—დამტკიცებული.

მოდით, ამ მახათს სახელიად უწოდოთ ვაშლის ლერძი.

შემოატრიალეთ ახლა ვაშლი თავის ლერძის გარეშემო. მაშინ ნათელი მხარე დაიჩრდილება, დაიჩრდილული განიადება. თუ რამდენისამე ხანს ატრიალებთ ვაშლის, დაინახავთ, რომ ორივე ნახევარი რიგ-რიგად ხან ნათდება, ხან იჩრდილება: როცა ერთ მხარეზე ჩრდილია, მეორეზე სინათლეა; როცა პირველზე სინათლეა, მეორეზე ჩრდილია.

ამ გეარსავე სურათს წარმოადგენს დედამიწა. შეცნიერებ-მა ამისაც გაუკეთეს ლერძი. ნამდვილად დედამიწას არავითარი ლერძი არა აქვს, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ აქვს ლერძი, რადგანაც ფიქრით წარმოდგენილი გამოკვლევას, შესწავლის გვიაღვეილებს.

რადგანაც დედამიწა თავის ლერძის გარეშემო ტრიალებს, მზისაკენ ხან ერთი ნახევარია მიქცეული, ხან მეორე. იმ მხარეზე, რომელიც მზეს მისჩერებია, დღე არის; მეორეზე კი—ლამტე. როცა მეორე მხარე მზისაკენ შემოტრიალება, იქ გათენდება და დღე დადგება: პირველზე კი დალამდება, დაბნელდება და ლამტე დადგება.

